ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2019 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. **ხარისხის გარე შეფასებებში მონაწილეობა (აკრედიტაცია) და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება**

   თსუ მედიცინის ფაკულტეტზე 2019 წლის განმავლობაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჩართულობით განხორციელდა **7 საგანმანათლებლო პროგრამის** სააკრედიტაციოდ მომზადება, მათ შორის 6 რე-აკრედიტაციისთვის და 1 ახალი პროგრამა აკრედიტაციისთვის. ამავე პერიოდის განმავლობაში განხორციელდა მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის ჰარმონიზება მედიცინის განახლებულ დარგობრივ სტანდარტთან.
   მთელი წლის განმავლობაში ჩატარდა ინტენსიური შეხვედრები და ტრენინგები აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან.

   მონაწილეობა მივიღეთ ასევე თსუ-ში კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებულ მოსამზადებელ საქმიანობებში და **ავტორიზაციის ვიზიტის** პროცესში.

   მონაწილეობა მივიღეთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **პროგრამების (სულ 2) გარე შეფასებაში.**
   მონაწილეობა მივიღე აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროგრამის (სულ 1) გარე შეფასებაში.**

   მონაწილეობა მივიღეთ როგორც ავტორიზაციის ექსპერტმა თბილისის სამედიცინო აკადემიაში ავტორიზაციის ვიზიტში.

2. **შიდა ხარისხის უზრუნველყოფაში მონაწილეობა და ამ კუთხით განხორციელებული აქტივობების შეფასება**

   მონაწილეობა მივიღეთ ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების **(1 საბაკალავრო და 1 სამაგისტრო)** შეფასებაში. მოვამზადეთ ანგარიში და მონაწილეობა მივიღეთ ადგილზე ვიზიტში.

   მონაწილეობა მივიღეთ იურიდიული ფაკულტეტის 2 საგანმანათლებლო პროგრამის განხილვაში.

ფაკულტეტზე საგანმანათლებლო განვითარების პროცესის მხარდაჭერის მიზნით ორგანიზება გაუკეთეთ **1 სამაგისტრო პროგრამის** შიდა მონიტორინგის ვიზიტს.

3. **უნივერსიტეტში სწავლის, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა**

მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ტიპის საუნივერსიტეტო კითხვარების მომზადებაში, ასევე დამატებით მოვამზადეთ ფაკულტეტისთვის სპეციფიკური კითხვარები დარგობრივ კომპეტენციებსა და მოდულურ სწავლებასთან დაკავშირებით.

სპეციფიკური კითხვარებით უშუალოდ ფაკულტეტზე ჩატარდა გამოკითხვების ორგანიზება, განხორციელება და შეფასება; შედეგები ეცნობათ პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტებს და სახვა დაინტერესებულ მხარეებს.

განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის ამომცნობ პროგრამაში გატარებით მიღებული შედეგების ანალიზი და გამოთხოვნილი იქნა დეტალური ინფორმაცია რაოდენობრივი მაჩვენებლების ხარისხობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის მიზნით.

პროფესიული შესაძლებლობების განვითარებაში მონაწილეობის მიზნით მონაწილეობა მივიღეთ AMEE-ს ტრეინინგებში **(2)** და მოვიპოვეთ როგორც ლოკალური, ისე სპეციალური გამოცდის ჩატარების შემდეგ სამედიცინო განათლებაში საერთაშორისო სერტიფიკატი.

მონაწილეობა მივიღეთ თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით ჩატარებულ ტრენინგ-სემინარში "ავტონომიისა დაპასუხისმგებლობის დესკრიპტორთან დაკავშირებული სწავლის შედეგების სწავლება და შეფასება".

მონაწილეობა მივიღეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებულ კონფერენციაში - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა და განვითარების შესაძლებლობები .

4. **საერთაშორისო თანამშრომლობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის ინტეგრაციის ხელშეწყობა**

განხორციელდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერა, კერძოდ **6 სტუდენტი იმყოფებოდა 1 კვირით** ტრომსოს უნივერსიტეტში, ხოლო **1 სტუდენტი 1 სემესტრით;**
ვამზადებთ **1 სტუდენტის** დოკუმენტაციას რუმინეთში ერთსემესტრიანი მობილობისთვის.
ჩართული ვართ ტრომსოს უნივერსიტეტიდან **1 სტუდენტის** ერთსემეტრიანი მობილობის უზრუნველყოფაში.

მონაწილეობა მივიღეთ კადისის უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტის ორგანიზებაში ერაზმუსის ფარგლებში.

მონაწილეობა მივიღეთ პეკინის უნივერსიტეტის წარმომადგენლების ვიზიტის ორგანიზებაში.

მონაწილეობა მივიღეთ საუტჰემპტონის უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსის კრის სტეფენსენის ვიზიტის ორგანიზებაში ფაკულტეტზე პერსონალისთვის ვორკშოპების ჩასატარებლად. ჩატარდა 2 ვორკშოპი.

მონაწილეობას ვიღებთ ერაზმუს+ პროგრამისათვის **2 ახალი პროექტის** მომზადებაში.

5. სამსახურის სხვა საქმიანობა

სამსახურის კორესპოდენცია 2019 წლის განმავლობაში: მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ელექტრონული ბაზით შემოსული წერილების რაოდენობა: **162**-ნინო ჩიხლაძე და **54**-მაკა ჯორბენაძე.

შემოსული იქნა **41** საერთაშორისო სტუდენტის დოკუმენტაცია საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,მედიცინა'' გავლილი საგნების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებით. მათ შორის **29** მობილობით გადმოვიდა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე.

აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის დადგენილებების მომზადება- 2019-2020 სასწავლო წელს გამოცხადებულ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე (სულ 3) გამოსაცხადებელი სტუდენტების რაოდენობების და კომპეტენციების ზღვარის ანკეტა-კითხვარის მომზადებაში მონაწილეობა;

6. სამსახურის თვითშეფასება და შემდგომი განვითარების ხედვები

სამსახურის თვითშეფასება: სამსახურის მუშაობა ფასდება დადებითად.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოწვევებია: 7 პროგრამის აკრედიტაცია.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამომავლო პრიორიტეტები: სამედიცინო განათლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პუბლიკაციების მომზადება და გამოქვეყნება.